# International Theatre Institute ITI

**World Organization for the Performing Arts**

მსოფლიო თეატრის დღე 2023- 27 მარტი

**ავტორი: სამიჰა აიუბი**
ეგვიპტელი მსახიობი

---

## მსოფლიო თეატრის დღე 2023

***სამიჰა აიუბის მესიჯი***

ყველა ჩემს მეგობარს, თეატრის არტისტებს მთელი მსოფლიოდან

გწერთ თეატრის დღეს, ბედნიერებით სავსე, რომ თქვენთან საუბრის შესაძლებლობა მომეცა. ყველას - თეატრისა და თეატრის გარეთ მომუშავე ხელოვანებს ერთი საწუხარი გვაერთიანებს, მოღვაწეობა გვიწევს შერეული გრძნობებით სავსე ქაოტურ გარემოში. დღევანდელი კონფლიქტების, ომებისა და სტიქიური უბედურებების შედეგი ცალსახად არის არასტაბილურობა. ამ ყველაფერს დამანგრეველი შედეგი შეიძლება ჰქონდეს არა მხოლოდ ჩვენი მატერიალური სამყაროსთვის, ასევე ჩვენი ფსიქოლოგიური და სულიერი მხარისთვის.

დღეს მე ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს, მთელი მსოფლიო დაემსგავსა იზოლირებულ კუნძულს, ანდაც ნისლიანი ჰორიზონტისკენ მოცურავე გემებს, რომლებიც ვერაფერს ხედავენ გზად, მაგრამ ამის მიუხედავად, გაშლილი იალქნებით, კაპიტნის გარეშე შეუჩერებლად მიიწევენ წინ. წინ მიიწევენ იმის იმედით, რომ მღელვარე და საშიში ზღვის გადაცურვის შემდეგ მიადგებიან უსაფრთხო ნავსადგურს.

ჩვენ არასდროს ვყოფილვართ ისე დაკავშირებულნი და, ამავდროულად, ისე გაუცხოებულნი, როგორც დღეს ვართ. სწორედ ამაში მდგომარეობს დრამატული პარადოქსი, რომელსაც სამყარო გვაკისრებს ყველა ჩვენგანს. ბევრი სიახლის მომსწრენი ვართ. თანამედროვე კომუნიკაციებმა გააარღვია გეოგრაფიული საზღვრები. კონფლიქტები და მთელი მსოფლიოს მასშტაბით არსებული დაძაბულობები გასცდა ლოგიკური აღქმის საზღვრებს. ამ აშკარა კონვერგენციის ფონზე გამოიხატა მნიშვნელოვანი განსხვავებები, რომელიც გვაშორებს კაცობრიობის ჭეშმარიტ არსს.

თეატრი თავისი თავდაპირველი არსით სუფთა ადამიანური აქტია, რომელიც კაცობრიობის ჭეშმარიტ არსზე- სიცოცხლეზეა დაფუძნებული. დიდი მკვლევარის, კონსტანტინე სტანისლავსკის სიტყვებია: ‘’ არასდროს შეხვიდე თეატრში ტალახიანი ფეხით, გარეთ დატოვე შენივე მტვერი და ჭუჭყი. დაფიქრდი შენს სირთულეებზე, უთანხმოებებზე, იმაზე რაც გაწუხებს, რაც ცხოვრებას გიუარესებს და საკუთარი ხელოვნებისგან გაფანტინებს ყურადღებას. მკაფიოდ დაინახე ეს ყოველივე და დატოვე გარეთ, კართან’’.

როცა ჩვენ სცენაზე ავდივართ, აგვაქვს ჩვენში არსებული, მხოლოდ ერთი ადამიანისთვის განკუთვნილი ცხოვრება. მაგრამ ამ ცხოვრებას აქვს საოცარი უნარი, ბევრ ნაწილად გაიყოს, გამრავლდეს, უამრავ ახალ სიცოცხლედ გადაიქცეს, აყვავდეს და თავისი ენერგეტიკა გაავრცელოს სხვებზე.

რასაც თეატრის სამყაროში ვაკეთებთ ჩვენ, დრამატურგები, რეჟისორები, მსახიობები, სცენოგრაფები, პოეტები, მუსიკოსები, ქორეოგრაფები და ტექნიკოსები, უკლებლივ ყველა მონაწილეობას ვიღებთ ახალი სიცოცხლის შექმნაში, სიცოცხლის, რომელიც სცენაზე ჩვენ გარეშე არ არსებობდა. ეს ახალი სიცოცხლე იმსახურებს მზრუნველ ხელს, რომელიც მაგრად ჩაეჭიდება, მოსიყვარულე მხრებს, რომელიც მოეხვევა მას, კეთილ გულს, რომელიც თანაუგრძნობს და საღ გონებას, რომელიც ამ ახალი სიცოცხლის გადარჩენას უზრუნველყოფს .

არ ვაჭარბებ, როცა ვამბობ, რომ რასაც სცენაზე ვაკეთებთ, ეს თავად ცხოვრების აქტია, რომელიც წარმოიქმნება არაფრისგან. ისეა, როგორც სიბნელეში ანთებული ნაკვერჩხალი, რომელიც ღამის სიბნელეს და სიცივეს ფანტავს. ცხოვრებას თვითონვე ვანიჭებთ ბრწყინვალებას. თვითონვე ვანიჭებთ სიცოცხლეს, მნიშვნელობას და ხელოვნების სინათლეს ვიყენებთ ექსტრემიზმის სიბნელესთან გასამკლავებლად. ჩვენ ვართ ისინი, ვინც ვითვისებთ ცხოვრების დოქტრინას, რათა მაქსიმალურად გავავრცელოდთ სიცოცხლე ამქვეყნად. ამისთვის ვხარჯავთ ძალისხმევას, დროს, ოფლს, ცრემლებს, სისხლს და ნერვებს. ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ მივაღწიოთ ამ მნიშვნელოვან მესიჯს ჭეშმარიტების, სიკეთის და სილამაზის ღირებულებების გათვალისწინებით, იმის რწმენით, რომ თითოეული ახალი სიცოცხლე იმსახურებს არსებობას.

დღეს მოგმართავთ არა იმიტომ, რომ უბრალოდ გესაუბროთ და ვიზეიმოთ ''ხელოვნების მამის''- თეატრის დღე, არამედ გიხმობთ, რომ ერთად დავდგეთ ხელიხელჩაკიდებულნი, ერთმანეთის მხარდამხარ, ბოლო ხმაზე ვიყვიროთ ჩვენი აზრების შორს მისაწვდენად, ისე როგორც ამას ჩვენი თეატრის სცენებიდან ვართ მიჩვეულნი. გამოვუშვათ ხმა, რომ მთელი სამყაროს სინდისი გავაღვიძოთ, გამოვიყენოთ ხმა კაცობრიობის დაკარგული არსის ძიებისთვის საკუთარ თავშივე. თავისუფალი, ტოლერანტული, მოსიყვარულე, თანამგრძნობი, ნაზი და მიმღები ადამიანი ვეძიოთ ჩვენში. უარი ვთქვათ რასიზმით, სისხლით, კონფლიქტით, ექსტრემიზმით და შეზღუდული აზროვნებით შემოსაზღვრულ რეალობაზე. ადამიანებს ამ ცის ქვეშ და ამ მიწაზე ათასობით წელი უცხოვრიათ და ასევე გაგრძელდება დიდხანს. ასე რომ, მოაშორეთ ფეხები ომითა და სისხლიანი კონფლიქტებით სავსე ჭაობებს და დატოვეთ სცენის კართან, გარეთ. შესაძლოა, ეს ჩვენი ეჭვქვეშდაყენებული კაცობრიობა კიდევ ერთხელ დარწმუნდეს ადამიანურობაში და, რომ საბოლოოდ ყველანი ერთმანეთისთვის და-ძმანი ვართ.

ჩვენი, დრამატურგების - განმანათლებლობის ჩირაღდნის მატარებლების მისიაა, პირველი მსახიობის პირველ სცენაზე გამოჩენის დღიდანვე ვიყოთ ყველაფერი ცუდის, სისხლიანის, არაადამიანურობის წარმოჩენის წინა პლანზე. ამ უარყოფით რეალობას

ჩვენ ვუპირისპირდებით ყველა მშვენიერებით, ყველაფრით რაც ლამაზი, წმინდა და ადამიანურია. მხოლოდ ჩვენ და არავინ სხვას შეუძლია სიცოცხლის გავრცელება დედამიწაზე. ასე რომ, ერთად გავაკეთოთ ეს, ერთიანი სამყაროსა და კაცობრიობისთვის.